ევროკავშირი
საქართველოსთვის

ČENN

სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ინკლუზიური და მწვანე პოსტ-კოვიდ აღდგენისათვის

STRENGTHENING CIVIL SOCIETY FOR AN INCLUSIVE AND GREEN POST-COVID RECOVERY

სარჩევი:

- პროექტის მცირე აღწერა 3
- პროექტის მენეჯერის გზავნილი 3
- პროექტის შედეგები მიმართულებების მიხედვით:
  - სამოქალაქო სექტორის გაძლიერება 5
  - ახალგაზრდული პროგრამები 7
  - ადგილობრივი ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერა სოციალური სერვისების გაუმჯობესების მიზნით 14
  - სოციალური სერვისების განვითარების ხელშეწყობა 25
  - კომუნიკაცია და ცნობიერების ამაღლება 32

პროექტის მოკლე აღწერა

პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ინკლუზიური და მწვანე პოსტ-კოვიდ აღდგენისთვის“ 4 წლის განმავლობაში (2022-2025 წწ.), ევროკავშირის მხარდაჭერით, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რვა მუნიციპალიტეტში (მარნეული, თეთრიწყარო, დმანისი, გარდაბანი, ბოლნისი, წალკა, ახალციხე და ნინოწმინდა) ხორციელდებოდა CENN-ის მიერ, განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციებთან - კონსულტაციების და ტრენინგების ცენტრი (CTC), ქვემო ქართლის მედია (KKM) და პირველი ევროპელი (EF) - ერთად.

პროექტის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება, ინკლუზიური და მწვანე აღდგენის ხელშეწყობა, ასევე ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სოციალური სერვისების განვითარების მხარდაჭერა ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მრავალეთნიკურ რეგიონებში.

პროექტი სამი ძირითადი მიმართულებით მუშაობდა:

- სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების განვითარება;
- მონაწილეობითი დემოკრატიის პრაქტიკების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე;
- ადგილობრივი ინიციატივების განხორციელება სოციალური სერვისების გაუმჯობესების მიზნით.

პროექტი ეფუძნებოდა ხედვას, რომ ძლიერი და კომპეტენტური სამოქალაქო საზოგადოება ხელს უწყობს საზოგადოების თვითგანვითარებას და, ამავდროულად, მხარს უჭერს სახელმწიფოს, როგორც სოციალური მომსახურების მთავარ მიმწოდებელს.

პროექტის მენეჯერის გზავნილი

პროექტი, მისი მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, საკმაოდ კომლექსური იყო და გეოგრაფიული დაფარვის კუთხით მოიცავდა ორ მნიშვნელოვან რეგიონს, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთს. აღსანიშნავია ისიც, რომ პროექტის განხორციელება ქვეყნისათვის საკმაოდ რთულ პერიოდს დაემთხვა.

პროექტი ძირითადად ორი მიმართულებით მუშაობდა - ერთის მხრივ, ადგილობრივი დაინტერესებელი მხარეების, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას ისახავდა მიზნად, მეორეს მხრივ, კი სოციალური სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას დიალოგის, თანამშრომლობისა და კვლევების შედეგების გათვალისწინებით. მთელი პროცესი მიმდინარეობდა დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო კონსულტაციებისა და აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკმაოდ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია პროექტმა თანამონაწილეობითი მიდგომებისა და კვლევების შედეგების გამოყენებით: ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით შეიქმნა ახალი სოციალური სერვისები, რომლებიც არა მხოლოდ პასუხობენ მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს, არამედ ორიენტირებული არიან ასევე ამ ჯგუფების განვითარებაზე. ამრიგად, ჩამოყალიბდა საჭიროებებზე მორგებული განვითარებაზე ორიენტირებული სერვისები. განხორციელდა შექმნილი სერვისების პილოტირება და არა ერთი ინიციატივა, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფების, სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. პროექტის ფარგლებში ადგილებზე შეიქმნა დღისა და ბავშვთა ადრეული განვითარების ცენტრები, რომლებიც უზურნველყოფენ ბენეფიციარებისათვის სერვისების ადგილებრივ დონეზე მიწოდებას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ეფექტიანი შედეგების მიღებისთვის. ასევე, მოხდა ბაღებისა და სკოლების პედაგოგებისა და მშობლების გადამზადება განვითარების შეფერხებების ადრეული ამოცნობის მიმართულებით.

პროექტმა ხელი შეუწყო ადგილებზე არსებული დაინტერესებული მხარეების თემატური კომპეტენციების ამაღლებასა და ორგანიზაციულ განვითარებას, რაც მიღწეული შედეგების მდგრადობის კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

საბოლოოდ, პროექტმა მიაღწია მრავალ მნიშვნელოვან და პრაქტიკულ შედეგს, რომლებიც არსებითად უწყობენ ხელს ადგილობრივ დონეზე სოციალური სერვისების გაძლიერებასა და ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

მადლობა მინდა გადავუხადო პროექტის პარტნიორებს, ასევე განსაკუთრებული მადლობა პროექტის გუნდის თითოეულ წევრს, რომლებიც მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი მძიმე და არასტაბილური სიტუაციისა - 2024 წლიდან ქვეყანაში მიღებული იქნა კანონები, რომლებიც სამოქალაქო სექტორის დისკრედიტაციასა და საქმიანობის არეალის შეზღუდვას ემსახურება - თავდაუზოგავად და უდიდესი ენთუზიაზმით მუშაობდა, რათა მაქსიმალურად ეფექტიანად განხორციელებულიყო პროექტი, მიეღწია მდგრადი, ადგილებზე ბენეფიციარებისათვის მნიშვნელოვანი შედეგებისთვის.

ბოლოს კი მინდა აღვნიშნო ევროკავშირის უმნიშვნელოვანესი როლი მიღწეული შედეგებისა და იმ მრავალფეროვანი ინიციატივების მხარდაჭერაში, რომლებზეც საუბარია ამ კატალოგში. რომ არა ევროკავშირი, შეუძლებელი იქნება ამ მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა. პროექტის მთელი გუნდის სახელით დიდ მადლობას ვუხდი ევროკავშირს მხარდაჭერისა და გვერდში დგომისათვის.

ნინო თევზაძე
პროექტის მენეჯერი

პროექტის შედეგები მიმართულებების მიხედვით

სამოქალაქო სექტორის გაძლიერება (CDP)

სამოქალაქო სექტორის გაძლიერება პროექტის ერთ-ერთ მთავარ და ფუნდამენტურ მიმართულებას წარმოადგენდა. აღნიშნული მიმართულების მიზანი იყო ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერება, რათა მათ შეეძლოთ ეფექტიანი ადვოკატირების განხორციელება გენდერულად და ბავშვთა მიმართ მგრძნობიარე სოციალურ სერვისებზე წვდომის უზრუნველსაყოფად და ასევე, ხელი შეეწყოთ არსებითი და ინკლუზიური ჩართულობისათვის ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში მწვანე და მდგრადი აღდგენის მხარდაჭერის მიზნით.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, ღია კონკურსის წესით, სამიზნე რეგიონებში შეირჩა შემდეგი ათი ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, როგორც სამოქალაქო სექტორის გაძლიერების პროგრამის მონაწილე:

1. ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრი - ქვემო ქართლის რეგიონი;
2. წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი - ქვემო ქართლის რეგიონი;
3. მარტყოფის ახალგაზრდული ცენტრი - ქვემო ქართლის რეგიონი;
4. სამოქალაქო აქტივიზმისა და რეგიონეული განვითარების ცენტრი - ქვემო ქართლის რეგიონი;
5. კავკასიური მემკვიდრეობის კვლევის ინსტიტუტი, "სოლოდარობის მუზეუმი" - ქვემო ქართლის რეგიონი;
6. ახალი აზროვნების ინსტიტუტი - ქვემო ქართლის რეგიონი;
7. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაცია - ქვემო ქართლის რეგიონი;
8. ახალგაზრდები დემოკრატიული ცვლილებებისთვის - სამცხე-ჯავახეთის რეგიონი;
9. სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონი;
10. ტოლერანტი, სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია - სამცხე-ჯავახეთის რეგიონი.

შერჩეულ ორგანიზაციებს ჩაუტარდათ სიღრმისეული ორგანიზაციული და განვითარების საჭიროებების შეფასება, რომლის მიზანი იყო მათი ძლიერი მხარეებისა და განვითარების გამოწვევების გამოვლენა. აღნიშნული შეფასების საფუძველზე წინასწარ შერჩეული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის შესაძლებლობების განვითარების პროგრამა (CDP) შემუშავდა. პროგრამა თემატურ სასწავლო და ტრენინგ მოდულებს მოიცავდა.

თემატური ტრენინგებისა და მენტორინგის სერია ისეთ თემებზე ჩატარდა, როგორებიცაა: სოციალური პოლიტიკის განვითარება ადგილობრივ დონეზე; საპროექტო განაცხადების მომზადება; პროექტის მართვის ციკლი; სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილების მიღების პროცესში; ადვოკატირება; მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობის პრინციპები; დიზაინ აზროვნება (Design Thinking) დიზაინ ფიქრი; მონიტორინგი და შეფასება; სტრესის მართვა და მუშაობა სტრესულ გარემოში; სოციალური მეწარმეობის საფუძვლები; ეფექტიანი კომუნიკაცია და რესურსების მობილიზება.

აღსანიშნავია, რომ ტრენინგების დაგეგმვისას, ქვეყნის ცვალებადი გარემოს გათვალისწინებით, ტრენინგის თემები ეფუძნებოდა არა მხოლოდ პროექტის დასაწყისში შემუშავებულ შესაძლებლობების განვითარების პროგრამას, არამედ რეგულარულად ხდებოდა სამიზნე ორგანიზაციების საჭიროებების ანალიზი, მათთან მჭიდრო კონსულტაციით. აღნიშნული უზრუნველყოფდა, რომ თითოეული ტრენინგის შინაარსი მაქსიმალურად შესაბამისი ყოფილიყო იმ რეალური საჭიროებების, რომელთა წინაშეც ორგანიზაციები იმ კონკრეტულ პერიოდში იდგნენ.

ამ მიმართულების მეორე კომპონენტი გულისხმობდა შერჩეული ათი ორგანიზაციის მიერ ადვოკატირებისა და ორგანიზაციული განვითარების ინიციატივების განხორციელებას პროექტის ფინანსური მხარდაჭერით. ინიციატივები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- იძულებით გადაადგილებული პირებისთვის სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სტადიონის კეთილმოწყობის სამუშაოების შეტანა, ადვოკატირების პროცესისა და ახალგაზრდების ჩართულობით;
- ნარჩენების მდგრადი მართვისა და მდინარის სისუფთავის შენარჩუნების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება;
- ნარჩენების მდგრადი მართვისა და პასუხისმგებლიანი მოქალაქეობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ნარჩენების შეგროვების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან ერთად;
- მარტოხელა მშობლების საჭიროებების შესწავლა და იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისი სოციალური სერვისების ადვოკატირება მუნიციპალურ დონეზე;
- მუნიციპალიტეტში ხანდაზმული ადამიანების (70+) ჯანდაცვაზე/მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ადვოკატირება;
- აზერბაიჯანულენოვან სკოლებში ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესება და სპეცპედაგოგების პროფესიული კომპეტენციის განვითარება.



ახალგაზრდული პროგრამები

პროექტის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა ორი ახალგაზრდული პროგრამა - სამოქალაქო მონაწილეობის პროგრამა (CPP) და ახალგაზრდა პროფესიონალთა პროგრამა(YPP).

პროგრამებში მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა ახალგაზრდამ სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებიდან, ხოლო მონაწილე ახალგაზრდების მიერ განხორციელებულმა ინიციატივებმა 6,000-ზე მეტ ადამიანს მიაწვდინა ხმა, ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა ქალების გაძლიერება, სამოქალაქო მონაწილეობა, მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერება, გარემოს დაცვა და სხვა.

1. სამოქალაქო მონაწილეობის პროგრამა (CPP)

პროექტის მიმდინარეობის პერიოდში 4 წლის განმავლობაში სამოქალაქო მონაწილეობის პროგრამის 3 ნაკადი ჩატარდა. პროგრამაში ჯამში 100-მდე ახალგაზრდა იყო ჩართული. 3 ნაკადის ფარგლებში მონაწილე ახალგაზრდების მიერ განხორციელდა 16 სათემო ინიციატივა - სამოქალაქო ჩართულობის, ახალგაზრდების გაძლიერების და გარემოს დაცვის მიმართულებით, რომლებმაც 5,000-ზე მეტი ადამიანი მოიცვა.

6-თვიანი პროგრამა 3 ეტაპისგან შედგებოდა. პირველ ეტაპზე კონკურსის შედეგად შერჩეული ახალგაზრდები 5-დღიან ბანაკში მონაწილეობდნენ, სადაც მათ თეორიული სესიები უტარდებოდათ ისეთ თემებზე, როგორიცაა დემოკრატია და კარგი მმართველობა, ეთნიკური უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებები, ქალებისა და ახალგაზრდების გაძლიერება და სხვა. მეორე ეტაპზე, პრაქტიკული სამუშაოს ფარგლებში, ახალგაზრდები ჯგუფდებოდნენ მუნიციპალიტეტების მიხედვით და თითეული ჯგუფი მუშაობდა საკუთარი საპროექტო ინიციატივის შემუშავებაზე. ბანაკის შემდეგ გუნდები გადიოდნენ ინდივიდუალურ თემატურ მენტორინგს საპროექტო იდეების დასამუშავებლად. ბოლო ეტაპზე კი ირჩეოდა საუკეთესო ინიციატივები, რომლებიც პროექტის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

ყველა განხორციელებული ინიციატივა ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო, თუმცა პუბლიკაციის ფორმატის გათვალისწინებით გვინდა წარმოდგიდგინოთ ის რამდენიმე განხორცეიელებული ინიციატივა, რომლებმაც განსაკუთრებული გამოხმაურება და შედეგები გამოიწვია:

პოზიტიური მშობლობა

აღნიშნული ინიციატივა ემსახურებოდა ქვემო ქართლში მცხოვრები 10 წლამდე ბავშვების მშობლების ცნობიერების ამაღლებას პოზიტიური მშობლობის შესახებ. პროექტის ფარგლებში საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა ქალაქ რუსთავსა და გარდაბანში, ასევე გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების სოფლებში ქართულ და აზერბაიჯანულენოვან თემებში. საკითხის გარშემო უფრო ფართო აუდიტორიის ინფორმირების მიზნით შეიქმნა Facebook გვერდი, სადაც განთავსებულია ორენოვანი საინფორმაციო პოსტები, ქარდები და საგანმანათლებლო მოკლე ვიდეოები.

სამოქალაქო მონაწილეობის პროგრამის დასრულების შემდეგ ხუთი წევრისგან შემდგარი გუნდის, „ზრუნვას“ საქმიანობა პროექტის ფარგლებს გასცდა და გუნდმა მუშაობა ქვემო ქართლის რეგიონში გააგრძელა. მათ 2024 წელს ოფიციალურად დააფუძნეს ორგანიზაცია „ზრუნვა“, რომელმაც ქვემო ქართლის რეგიონში აქტიური საქმიანობა გააგრძელა რეგიონში მცხოვრები ბავშვების, განსაკუთრებით კი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე, მათთვის საჭირო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

↘ ჩვენ ვზრუნავთ

„ჩვენ ვზრუნავთ“ არის ინიციატივა, რომელიც განახორციელა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ოთხმა ახალგაზრდამ. პროექტის მიზანი იყო ინკლუზიური განათლების შესახებ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. პროექტმა წვლილი შეიტანა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნაში.

დავასაქმოთ ქალები

პროექტი „დავასაქმოთ ქალები“ ასპინძის სოფელ დამალასა და ახალციხის სოფელ წყრუთში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალებში უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირებას ისახავდა მიზნად. პროექტის ფარგლებში ჩატარებულ შეხვედრებზე, რომლებსაც 18-45 წლამდე 30-მდე ქალი ესწრებოდა, მოწვეული იყო დასაქმების სააგენტოს, ახალციხის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წარმომადგენელი და ფსიქოლოგი. ქალებმა მიიღეს რჩევები და ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობებზე. დამსწრე ქალების მიერ გამოითქვა სურვილი სახელმწიფო ენის შესწავლასთან დაკავშირებით, ბევრი მათგანი კი დასაქმების სააგენტოს წარმომადგენლის მიერ შეთავაზებულ კურსებზეც დარეგისტრირდა.

YOUTH POWER:

ინიციატივა, რომელიც განხორციელდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 5 სოფელში, მიზნად ისახავდა 14-30 წლის ახალგაზრდებში ინფორმირებულობის ამაღლებას ფორმალური და არაფორმალური განათლების შესაძლებლობების შესახებ და არსებულ პროგრამებში მათი ჩართულობის ხელშეწყობას. პროექტის ავტორებმა ამ მიზნის მიღწევა შეძლეს, როგორც სოციალურ ქსელში წამოწყებული საინფორმაციო კამპანიის, ისე ადგილებზე ტრენინგების ჩატარების საშუალებით. დამატებით, ამ საკითხისადმი ახალგაზრდების ინტერესის გასაღვივებლად, ჩატარდა შემეცნებითი კონკურსები.

2. ახალგაზრდა პროფესიონალთა პროგრამა (YPP)

ახალგაზრდა პროფესიონალთა პროგრამა, რომელიც სამი ფაზისგან შედგებოდა, 2023-2024 წლებში განხორციელდა. პროგრამის ფარგლებში ღია კონკურსის წესით შეირჩა 10 ახალგაზრდა ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებიდან, რომლებმაც პროგრამის პირველ ეტაპზე ერთთვიანი სტაჟირება გაიარეს შემდეგ ორგანიზაციებში: CENN, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC), პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფი (PMCG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი საქართველო (IRI), ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში და HEKS/EPER საქართველო. სტაჟირების ფარგლებში ახალგაზრდებმა მიიღეს მნიშვნელოვანი გამოცდილება პროექტების შემუშავების, მართვის, კოორდინირების, ბენეფიციარებთან მუშაობის მიმართულებით, ასევე გაეცნენ ორგანიზაციების სამუშაო სტრუქტურასა და მიდგომებს.

სტაჟირების შემდეგ მონაწილეებს ჩაუტარდათ ტრენინგი პროექტის წერასა და მართვაში, რომლის ფარგლებშიც მათ შეიმუშავეს საპროექტე განაცხადები. ტრენინგს მოჰყვა ინდივიდუალური მენტორინგის სესიები CDP-ს წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებიც დაეხმარნენ მონაწილეებს საპროექტე იდეების დახვეწაში.

საბოლოო ეტაპზე 10-ვე მონაწილეს დაუფინანსდა შემუშავებული პროექტები. მონაწილეებმა მათსავე მუნიციპალიტეტებში განახორციელეს ინიციატივები ახალგაზრდების და ქალების გაძლიერების, სამოქალაქო ჩართულობის და გარემოსდაცვითი მიმართულებით. განხორციელებულმა პროექტებმა ჯამში 300 ადგილობრივი ახალგაზრდა მოიცვა, ხოლო ხმა მიაწვდინა 1,000-მდე ადამიანს.

პროგრამა განსაკუთრებული წარმატებით განხორციელდა არუსიაკ ფარმანიანისთვის, რომელიც ახალქალაქს წარმოადგენდა. მან პროექტის ასისტენტის პოზიციაზე 1-თვიანი სტაჟირება სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებაში (ISFED) გაიარა, სადაც სტაჟირების შემდეგ იმავე პოზიციაზე დასაქმდა.

არუსიაკ ფარმანიანის მიერ საკუთარ თემში განხორციელებული ინიციატივა უკავშირდებოდა ქალების გაძლიერებასა და მათი ცნობიერების ამაღლებას ქალთა უფლებების, გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობისა და ადრეული ქორწინების საკითხებთან დაკავშირებით. ამ მიზნით მან ახალქალაქში სამიზნე აუდიტორიასთან საინფორმაციო შეხვედრები ჩაატარა.

„ჩემს თემში ამ საკითხებზე ინფორმაციის ნაკლებობაა, ამიტომ ხმამაღლა საუბარი ძალიან საჭიროა. გარდა ამისა, ქალების დიდი ნაწილი არაა დასაქმებული და არ ფლობს ინფორმაციას საკუთარ უფლებებზე. შესაბამისად, მათი სოციალური ინტეგრირება უმნიშვნელოვანესია იმისთვის, რომ თავი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იგრძნონ. საკუთარი უფლებების დაცვაზე ცნობიერების გაზრდა ჩვენი პასუხისმგებლობაა," – აცხადებს არუსიაკი.

ამავე პროგრამის მონაწილე ფიდან ასკეროვამ, რომელმაც 1-თვიანი სტაჟირება „ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასში" გაიარა, თავისი ინიციატივა სოფელ ყიზილჯლოში განახორციელა. პროექტის „მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება სოფელ ყიზილჯლოს #1 საჯარო სკოლაში" ფარგლებში, მან საინფორმაციო შე-

ხვედრები ჩაატარა მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან. ინიციატივის ფარგლებში დასუფთავების დღეც მოეწყო.

„მთავარი მიზანი იყო მასწავლებლებისთვის, მშობლებისა და მოსწავლეებისთვის გაგვეცნო გარემოსდაცვასთან დაკავშირებული საკითხები – გაგვეზიარებინა ამ კუთხით სხვა სკოლებში არსებული გამოცდილება. ყიზილაჯლოს #1 საჯარო სკოლაში, მსგავსი აქტივობები აქამდეც იყო, თუმცა ამ მასშტაბის პროექტი არ განხორციელებულა. ეს ნამდვილად იყო სიახლე და ამიტომაც უფრო მეტად ჩაერთნენ. ასევე, საფუძველი ჩავუყარეთ სკოლაში ეკო-კლუბის შექმნას," - აცხადებს ფიდანი.

კესო გოგუა პროგრამის კიდევ ერთი წარმატებული მონაწილე იყო. მან სტაჟირება „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში" გაიარა, სადაც ორგანიზაციის საქმიანობას ახლოდან გაეცნო და მათ აქტივობებშიც მიიღო აქტიური მონაწილეობა.

„სტაჟირება მოიცავდა სხვადასხვა მიმართულების აქტივობას. ქვემო ქართლის რეგიონებში დავდიოდით და ადგილზე არსებულ პრობლემებს ვიკვლევდით. ასევე, ადგილობრივებს ვაწვდიდით ინფორმაციას, თუ როგორ შეეძლოთ პრობლემების მოგვარება", – ამბობს კესო.

კესომ პროექტი მარნეულის მუნიციპალიტეტში განახორციელა. ახალგაზრდებს ინფორმაცია მიაწოდა ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტის მართვაში ჩართულობის შესახებ. შედეგად, შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი 15 ადამიანის შემადგენლობით, რომლებიც თემის განვითარებასთან დაკავშირებით თავიანთ ინიციატივებს და მოსაზრებებს ღიად გამოხატავდნენ.

↘ ადგილობრივი ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერა სოციალური სერვისების გაუმჯობესების მიზნით

აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდა სამოქალაქო სექტორისა და სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ შემუშავებული გენდერულად მგრძნობიარე ინიციატივები, რომლებიც ითვალისწინებდა მუნიციპალურ დონეზე არსებულ საჭიროებებს. ამ პროექტებმა ხელი შეუწყო სოციალური სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას, მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდასა და მოწყვლადი ჯგუფების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. მხარდაჭერილ ჯგუფებს შორის იყვნენ: სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირები, სოციალურად დაუცველი ჯგუფები (მათ შორის, ეკომიგრანტები), ბავშვები, ახალგაზრდები, ქალები (მათ შორის, მარტოხელა დედები), ხანდაზმულები, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები.

ქვემო ქართლში ჯამში განხორციელდა 8 ინიციატივა, სამცხე-ჯავახეთში - 3, ერთმა პროექტმა კი ორივე სამიზნე რეგიონი დაფარა. თითოეულ ინიციატივაზე გამოყოფილი ბიუჯეტი დაახლოებით 13,000 ევროს შეადგენდა.

დღის ცენტრი დმანისის მუნიციპალიტეტში

ორგანიზაცია „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოებამ“ დმანისის მუნიციპალიტეტში შექმნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პირველი დღის ცენტრი, რომელიც ემსახურება მუნიციპალიტეტში მცხოვრე შშმ ბაშვებსა და მოზარდებს 6-იდან 18 წლამდე. დღის ცენტრი უზრუნველყოფს ბენეფიციარების სოციალური, საკომუნიკაციო, საგანმანათლებლო და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარჩვევების განვითარებას, რაც ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას საგანმანათლებლო, პროფესიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ორგანიზაციას დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ გადაეცა ფართი, რომელიც პროექტის ფინანსური მხარდაჭერით გარემონტდა და აღიჭურვა ავეჯითა და საჭირო ინვენტარით. პროექტის ფარგლებში ასევე შეირჩა და გადამზადდა დღის ცენტის ფუნქციონირებისათვის საჭირო შესაბამისი პერსონალი და სპეციალისტები.

თეთრიწყაროს ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ცენტრი

თეთრიწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფმა (LAG) განახორციელა პროექტი, რომლის მიზანი იყო მუნიციპალიტეტში მცხოვრები 0-7 წლის ასაკის ბავშვების ჰარმონიული ფსიქიკური და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში მოეწყო და შესაბამისი ინვენტარით აღიჭურვა ცენტრი, გადამზადდა ინტერვენციონისტი[1], მუნიციპალიტეტის 16 საბავშვო ბაღის 56 თანამშრომელი და პირველადი ჯანდაცვის 19 სპეციალისტი გადამზადდა განვითარების დარღვევების იდენტიფიცირებისა და გადამისამართების მექანიზმების შესახებ. მუნიციპალიტეტის ბაღებში ჩატარებული სკრინინგის შედეგების საფუძველზე, ბავშვებში გამოვლენილი განვითარების შეფრხებების მონაცემებზე დაყრდნობით, შესაბამის 34 მშობელს გაეწია ინდივიდუალური კონსულტაცია, 12 ბავშვისთვის შემუშავდა განვითარების ინდივიდუალური გეგმა, ხოლო მუნიციპალიტეტის 16 საბავშვო ბაღში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ .

1 ინტერვენციონისტის გადამზადება განხორციელდა ადრეული განვითარების კოალიციის მიერ (http://adreuli.ge/ka?), რომელიც გასცემს შესაბამის სერთიფიკატს. გადამზადება ხდება სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით.

↘ ახალციხის ხანდაზმულთა სოციალური ინტეგრაციის ცენტრი

ასოციაცია „ტოლერანტმა» სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ღირსეული და აქტიური დაბერების ხელშეწყობის მიზნით ქალაქ ახალციხეში პირველი ხანდაზმულთა სოციალური ინტეგრაციის ცენტრი შექმნა. ცენტრი სრულად მორგებულია 60+ ასაკის ადამიანების საჭიროებებსა და ინტერესებს: ბენეფიციარები შეისწავლიან უცხო ენებს, ხელსაქმეს (სამკაულებისა და დეკორაციული სანთლების დამზადება), ეუფლებიან ციფრულ უნარებს, მონაწილეობენ გამოფენა-გაყიდვებსა და ასევე სასწავლო-შემეცნებით ექსკურსიებში. ცენტრის ბაზაზე ბენეფიციარებს გაეწიათ ფსიქოლოგიური და იურიდიული კონსულტაციები.

↘ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში პერსონალის გადამზადება აუტიზმის ადრეულ ამოცნობასა და ეფექტიანი ზრუნვის განხორციელების მიმართულებით

ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელების) ფილიალმა საქართველოში განახორციელა პროექტი ახალციხის მუნიციპალიტეტში აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებისთვის საჭირო სერვისების მიწოდების ხელშეწყობის მიზნით. პროექტის ფარგლებში 26 ბაღის 50 პედაგოგი გადამზადდა აუტიზმის ადრეული ნიშნების ამოცნობის კუთხით მათი უნარ-შესაძლებლობების გასაძლიერებლად. სკოლამდელი აღზრდის 26 დაწესებულება აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარითა და სენსორული სათამაშოებით. ასევე, შეიქმნა პროექტის მონაწილეთა ერთიანი თანადგომის ქსელი, რომელიც უზრუნველყოფს აუტისტური სპექტრის ადამიანებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერას სპეციალისტებთან კონსულტაციის საფუძველზე. პროექტმა ხელი შეუწყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას აუტიზმის შესახებ და მასთან დაკავშირებული სტიგმის შემცირებას როგორც სკოლამდელი დაწესებულებების პერსონალის, ისე მშობლებისთვის ცოდნის გაზიარების გზით.

↘ ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, მათთვის საჭირო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით

ორგანიზაცია „ზრუნვა საქართველომ» განახორციელა პროექტი ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საჭირო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. პროექტის ფარგლებში 350-ზე მეტმა მშობელმა[2], რომელთა დიდი ნაწილი ეთნიკურად აზერბაიჯანელი ბავშვების მშობლები იყვნენ, მიიღეს ინფორმაცია ბავშვის განვითარების ეტაპების, განვითარების შეფერხებების ამოცნობის გზების, არსებული სერვისების, ასევე დაფინანსების მოპოვების გზების შესახებ. 31 მშობელს გაეწია უფასო კონსულტაცია სპეციალისტების მიერ ქცევის სირთულის, მეტყველების დაყოვნებისა და სხვა გამოწვევების შესახებ რეკომენდაციებისა და შემდგომი სერვისების მიღების თაობაზე. პროექტის ფარგლებში ასევე გადამზადდა 7 აზერბაიჯანულენოვანი სპეციალისტი, რამაც, ერთი მხრივ, მათ დასაქმებას[3] შეუწყო ხელი და, მეორე მხრივ, ადგილზე სერვისების მიღების შესაძლებლობა გაზარდა აზერბაიჯანულენოვანი ბენეფიციარებისათვის. ხელმისაწვდომი სერვისებისა და განვითარების ეტაპებისა და შეფერხებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით მიმდინარეობდა ონლაინ კამპანი, ასევე მომზადდა საინფორმაციო ბროშურა, რომლის ბეჭდური ეგზემპლარები გავრცელდა სამიზნე თემებში.

2 შედეგების მონიტორინგის მიზნით, აზერბაიჯანულენოვანი სერვისების მიმღები ბენეფიციარების რაოდენობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები გამოთხოვნილი იქნა სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებისგან პროექტის დაწყებისა და დასრულების ეტაპზე. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ სერვისით მოსარგებლე ბავშვების რაოდენობა გაიზარდა 100.
3 პროგრამის ერთი მონაწილე, პროექტის მიმდინარეობის პერიოდშივე დასაქმდა ნეირო განვითარების ცენტრ „ნეირონში“.

ქცევის გამოყენებით ანალიზზე დაფუძნებული თერაპიის (ABA) სერვისის გაუმჯობესება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

„ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრმა“ განახორციელა პროექტი ახალციხის მუნიციპალიტეტში ქცევის გამოყენებით ანალიზზე დაფუძნებული თერაპიის (ABA) მიწოდებისა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირების საზოგადოებაში ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით. პროექტის ფარგლებში ორგანიზაციის ბაზაზე გადამზადდა ქცევის გამოყენებით ანალიზზე დაფუძნებული თერაპიის სუპერვიზორი, რომელმაც ორგანიზაციის 3 თერაპევტს გაუწია სუპერვიზირება უნარების გაუმჯობესების მიზნით. ცენტრის ბენეფიციარებს სტანდარტით გათვალისწინებული ხარისხით მიეწოდათ შესაბამისი თერაპიები, რაც მოიცავდა თითოეული მათგანის რეგულარულ (ყოველ 6 თვეში ერთხელ) შეფასებას, ინდივიდუალური პროგრამების/გეგმების გაწერასა და შესრულებას, მშობელთა კონსულტირებას და სახლში სამუშაოდ ინსტრუქციების მიწოდებას.

↘ ახალგაზრდების ჩართულობა სოციალური სერვისების გაუმჯობესებაში

„მარტყოფის ახალგაზრდულმა ცენტრმა“ განახორციელა პროექტი გარდაბნის მუნიციპალიტეტში სოციალური სერვისების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დეფიციტური პროფესიების - სოციალური მუშაკისა და ოკუპაციური თერაპევტის - კადრების რაოდენობის გაზრდის ხელშეწყობისა და წახალისების გზით. პროექტის ფარგლებში გარდაბნის მუნიციპალიტეტის 7 სოფლის 130-მდე სკოლის მოსწავლეს მიეწოდა ინფორმაცია სოციალური მუშაკისა და ოკუპაციური თერაპევტის პროფესიის არსზე, მნიშვნელობასა და დასაქმების პერსპექტივებზე; მოსწავლეების ნაწილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში პირველწყაროდან მიიღო ინფორმაცია სოციალური მუშაკის საბაკალავრო პროგრამის შესახებ. პროექტის ფარგლებში განხორციელებული ადვოკატირების კამპანიის შედეგად კი გარდაბნის მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის წარმატებულ სტუდენტებს დაუფინანსოს სოციალური მუშაობის ან ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრისა და მაგისტრატურის საფეხურებზე სწავლა.

დამატებით, პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა ონლაინ კამპანია, რაც მოიცავდა სოციალური მუშაობისა და ოკუპაციური თერაპიის შესახებ საინფორმაციო პოსტერების და მოკლე ვიდეოების სოციალური ქსელის მეშვეობით გავრცელებას. ჯამში გავავრცელეთ 14 პოსტერი და 3 ვიდეო, რომელთა ნახვებმა 7,000-ს გადააჭარბა. ასევე, ონლაინ გავრცელდა პროექტის ფაგლებში მომზადებული საინფორმაციო ბუკლეტი სამიზნე პროფესიების შესახებ.

რეგიონული სათემო ორგანიზაციების ცოდნის ამაღლება სახელმწიფო სერვისების შესახებ

„კანონის უზენაესობის ცენტრმა“ განახორციელა პროექტი ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის მიზნით, ძალადობის მსხვერპლებისათვის ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე არსებული სერვისების შესახებ ინფორმირებულობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. პროექტის ფარგლებში სამიზნე რეგიონში მოქმედმა 14 სათემო ორგანიზაციის წარმომადგენელმა მიიღო ინფორმაცია რეგიონულ დონეზე ამ მიმართულებით არსებული სერვისებისა და საჭირო მექანიზმების შესახებ. აღნიშნულმა ხელი შეუწყო ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის გაძლიერებას იმ ცოდნით, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემს ეფექტიანი დახმარება აღმოუჩინონ თემში მცხოვრებ ძალადობის მსხვერპლ ადამიანებს.

პროექტის ფარგლებში ასევე მომზადდა თემატური გზამკვლევი და საინფორმაციო ელექტრონული ბანერები, რომლებიც ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე გამოქვეყნდა.

ნაბიჯი განვითარებისკენ - ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების შესაძლებლობების გაძლიერება პროფესიული და ციფრული უნარების განვითარების გზით

„ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრმა“ განახორციელა პროექტი, რომელიც ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების ეკონომიკური გაძლიერებას ისახავდა მიზნად, სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და პროფესიული და ციფრული უნარების გაუმჯობესების გზით. პროექტის ფარგლებში 34 სოციალურად დაუცველმა ქალმა (მათ შორის, ეკომიგრანტები, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედები) გაიუმჯობესეს უნარები ჭრა-კერვის, გელ-ლაქის გაკეთების, სოციალური მედიის მართვის, ეფექტიანი კომუნიკაციისა და მეწარმეობის საფუძვლების მიმართულებით, რაც მათ მომავალში დასაქმებასა და თვითდასაქმებას შეუწყობს ხელს. მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 115 პირმა, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებმა, მიიღეს ინფორმაცია არსებული სოციალური სერვისების შესახებ. დამატებით პროექტის ბენეფიციარების ბაზაზე იგეგმება სოციალური საწარმოს დაარსება ჭრა-კერვის მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის ბენეფიციარების დასაქმებას.

თანაბარი შესაძლებლობები თანასწორობისთვის

ორგანიზაციამ „ერთად ერთმანეთისთვის“ განახორციელა პროექტი მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვების პიროვნული უნარების განვითარებისა და სახელმწიფო ენის შესწავლის ხელშეწყობის მიზნით. პროექტის ფარგლებში შეიქმნა საკვირაო სკოლა, რომელსაც შეუძლია ერთდროულად მოემსახუროს 20 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ბავშვს ქართული ენის ბუნებრივად ათვისებაში. პარალელურად, სკოლის ბაზაზე მშობლებისთვის შეიქმნა მშობელთა კლუბი, რომლის ფარგლებში ტარდება სესიები ადრეული განვითარების, პოზიტიური მშობლობისა და ბილინგვური განათლების მნიშვნელობის შესახებ. პროექტში ჩართულია 4 სპეციალისტი (ქართული, აზერბაიჯანული და სომხური ენის), რომლებიც პროექტის ფარგლებში გადამზადდნენ სპეციალურად შექმნილი მეთოდოლოგიის საფუძველზე.

ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ბავშვების კეთილდღეობისა და ადრეული განვითარების ხელშეწყობა

ორგანიზაციამ „პირველი ნაბიჯი საქართველო“ განახორციელა პროექტი ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრებ ბავშვთა კეთილდღეობისა და ადრეული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობისა და ადრეული განათლების კომპონენტების გაუმჯობესების გზით. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალისთვის სატრენინგო მოდული ინკლუზიური განათლების შესახებ კომპეტენციის ასამაღლებლად. შესაბამისი პროგრამით გადამზადდა ბაგა-ბაღებში დასაქმებული 18 თანამშრომელი, ხოლო ინფორმაცია ამ საკითხზე მიეწოდა 100-ზე მეტ პედაგოგს. საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, არსებული სერვისების, რთული ქცევის იდენტიფიცირების, ადრეული განვითარების მნიშვნელობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა მშობლებსაც. აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო კამპანიები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ თემებში აზერბაიჯანულ ენაზე მიმდინარეობდა.

სოციალური სერვისების დანერგვა და შშმ პირებისა და მათი ოჯახებისთვის მხარდაჭერა

ორგანიზაცია „გენმა“ განახორციელა პროექტი გარდაბნის მუნიციპალიტეტში შშმ პირებისთვის სრულფასოვანი, ღირსეული და დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობების შექმნისა და მათი რესოციალიზაციის მიზნით. პროექტის ფარგლებში პერსონალური ასისტენტის მიმართულებით გადამზადდა 10 პირი, რომლებიც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირებს გაუწევენ მომსახურებას. გარდა ამისა, პროექტმა ხელი შეუწყო შშმ პირებსა და მათი ოჯახის წევრებს შორის ცნობიერების ამაღლებას სოციალურ სერვისებზე, მათ დანიშნულებასა და ხელმისაწვდომობაზე; მათ გაეწიათ ფსიქო-სოციალური, ასევე იურიდიული კონსულტაციები, ერთი მხრივ, ემოციური მდგომარეობის, სტრესთან გამკლავებისა და სოციალური უნარების გასაუმჯობესებლად, მეორე მხრივ, კი დისკრიმინაციისგან დაცვის, უფლებების რეალიზაციისა და ღირსეული ცხოვრების უზრუნველსაყოფად. დამატებით, ამ საკითხების შესახებ მომზადდა და გავრცელდა საინფორმაციო ფლაერები.

სოციალური სერვისების განვითარების ხელშეწყობა

სოციალური სერვისების ადგილებზე განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროექტის საწყის ეტაპზე სამიზნე მუნიციპალიტეტებში 12-14 ადამიანისგან შემდგარი მრავალაქტორული თანამშრომლობის ჯგუფები შეიქმნა. ამ ჯგუფებში გაერთიანებულები იყვნენ მთავარი დაინტერესებული მხარეები, მათ შორის, სამოქალაქო სექტორისა და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები, ასევე სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები.

ამ ჯგუფებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით, ერთი მხრივ, არსებული სერვისების შესწავლა-შეფასება გაკეთდა, მეორე მხრივ, კი პროექტის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო კვლევის შედეგად გამოიკვეთა საჭიროებები კონკრეტული სოციალური სერვისების შექმნის კუთხით.

ამ სამუშაოს შედეგად, რომელიც შეხვედრების ხანგრძლივ ციკლს მოიცავდა, სამიზნე მუნიციპალიტეტების საჭიროებების გათვალისწინებით შეიქმნა განვითარებაზე ორიენტიერებული 6 სოციალური პროგრამა, საიდანაც 5 (მარნეულის მუნიციპალიტეტის გამოკლებით) დამტკიცდა მუნიციპალიტეტების მიერ.

დმანისი

დმანისში შეიქმნა ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების პროგრამა, რომელიც დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების განვითარებას, ასევე გენდერულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას ემსახურება. სერვისი მოიცავს - ქალების დასაქმების ხელშეწყობას, მათ შორის, ინდივიდუალურ დონეზე უნარებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ზოგადი ცოდნის გაუმჯობესების შესაძლებლობას; საინფორმაციო შეხვედრებს ქალების ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის მნიშვნელობის შესახებ; საგრანტო პროექტების დაფინანსების შესაძლებლობას.

წალკა

წალკის მუნიციპალიტეტში შეიქმნა პროგრამა, რომელიც ოჯახში მარტოდ მცხოვრები ან შშმ ბავშვის მშობლების სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას ისახავს მიზნად. პროგრამა მოიცავს მშობლების/მზრუნველების დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობას; ასევე შემოსავლის მომტანი საქმიანობისა და სამეწარმეო საქმიანობის ტრენინგებისა და კონსულტაციების, პროფესიული კურსების დაფინანსებას. პროგრამა ითვალისწინებს მშობლების მხარდაჭერას ძიძების მოძიებისა და მომსახურების მიწოდების კუთხით, რათა მათ თავისუფლად შეძლონ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა.

ბოლნისი

ბოლნისის მუნიციპალიტეტში შეიქმნა ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების პროგრამა 16-29 წლის ახალგაზრდებისთვის, რომლებიც თვითრეალიზაციის და სოციალური გამოწვევების გამო ვერ ახერხებენ სოციალური და ეკონომიკური უფლებების რეალიზებას. პროგრამა მოიცავს ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებას მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასებისა და ინდივიდუალური გეგმის შედგენის საფუძველზე. პროგრამა ასევე ითვალისწინებს განათლებისა და დასაქმების, მათ შორის თვითდასაქმების შესაძლებლობების განვითარებას, პროფესიული უნარების გაძლიერების, სასწავლო კურსებისა და იდეების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით; ხოლო სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას - სპეციალისტების კონსულტაციების, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარების ტრენინგების, მხარდამჭერი ჯგუფების, ახალგაზრდულ ბანაკებში ჩართვისა და სხვა პროგრამების მეშვეობით.

გარდაბანი

გარდაბნის მუნიციპალიტეტში შეიქმნა უფროსი თაობის (60+) სოციალიზაციის პროგრამა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები პირებისთვის. პროგრამა მოიცავს მათი საჭიროებებისა და ინტერესების შეფასებას, ინდივიდუალური გეგმის შემუშავებასა და ბაზისური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად რესურსების მობილიზებას. პროგრამა ითვალისწინებს უფროსი თაობის სოციალური და პროფესიული უნარების განვითარებასაც, კერ-

ძოდ, ციფრული უნარების დაუფლებას, მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვას, სხვადასხვა სოციალურ-კულტურული აქტივობის დაგეგმვასა და განხორციელებას.

თეთრიწყარო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში შეიქმნა ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური ქვეპროგრამა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 0-დან 7 წლამდე ასაკის განვითარების დარღვევის ან ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვებისთვის. პროგრამა მოიცავს სივრცის მოწესრიგებას, ინვენტარით აღჭურვასა და სერვისის მიმწოდებლად რეგისტრაციას. ასევე, ბავშვების განვითარების ეტაპების შეფერხების დროულად იდენტიფიცირებისთვის ბაღების აღმზრდელებისა და მედ პერსონალის, ასევე პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ითვალისწინებს საინფორმაციო შეხვედრებსა და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურ კონსულტაციებს მშობლებთან. პროგრამის მნიშვნელოვანი ამოცანა იყო სპეციალური საჭიროების მქონე აღსაზრდელების დროული იდენტიფიცირება, მათთვის საჭირო სერვისებში ჩართვის მიზნით.

მარნეული

მარნეულის მუნიციპალიტეტში შეიქმნა „55+ უფროსი თაობის სოციალიზაციის პროგრამა“, რომელიც მიზნად ისახავს ხანდაზმულ მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. პროგრამა მრავალმხრივ მხარდაჭერას სთავაზობს ბენეფიციარებს - ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილება (სამედიცინო კონსულტაციები, მოძრავი კლინიკები, ჰიგიენური პროდუქტები), ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა (ციფრული უნარების განვითარება, კულტურული ღონისძიებები, თაობათშორისი შეხვედრები). პროგრამა ასევე ორიენტირებულია მონაწილეთა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მათი შესაძლებლობების გამოვლენითა და დასაქმების გზით. ინიციატივის მთავარი ამოცანაა შექმნას სივრცე, სადაც უფროსი თაობის ადამიანები შეძლებენ სოციალიზაციას, თვითრეალიზაციას და აქტიურ ცხოვრებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საჭიროებებზე დაფუძნებული სოციალური პროგრამების არსებობა მხოლოდ ერთი მხარეა; ეფექტიანი სოციალური პროგრამების არანაკლებ მნიშვნელოვანი კომპონენტია, სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.

სწორედ ამ მიმართულებით მუშაობდნენ მრავალ აქტორული თანამშრომლების ჯგუფები პროექტის მეორე ეტაპზე, რომლის შემადგენლობაც შეიცვალა, ქვეყანაში 2024 წლიდან მთავრობის მიერ შემოღებული ახალი კანონების[4] ფონზე შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით.

4 კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ (2024), კანონი უცხოური გავლენის აგენტების შესახებ (2025), კანონი გრანტების შესახებ (2025)

აღნიშნული ჯგუფების მუშაობის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები და მიდგომები, რომელთა გათვალისწინებაც შეუძლიათ როგორც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, ისე სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სერვისების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს ადგილობრივი მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით კი მოწყვლადი, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარომადგენელი, ჯგუფებისათვის. ბუნებრივია, აღნიშნულ პროცესში მედიას, განსაკუთრებით კი ადგილობრივ მედიას, უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება.

პროექტის ფარგლებში შექმნილი სოციალური სერვისების დაპილოტების ფარგლებში, ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობით, განხორცილებები შემდეგი ინიციატივები:

თაობებს შორის ტექნოლოგიური ხიდი

„იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობამ“ დმანისის მხარდაჭერის სახლთან მჭიდრო თანამშრომლობით წარმატებით განახორციელა ინიციატივა „თაობებს შორის ტექნოლოგიური ხიდი», რომელიც თაობათაშორისი ურთიერთმხარდაჭერისა და ცოდნის გაზიარების უნიკალურ მოდელს წარმოადგენს. პროექტში ჩართულმა 8 ახალგაზრდა ლიდერმა შეიძინა პროგრამირების საბაზისო უნარები და მათ, თავის მხრივ, ეს ცოდნა 10 ბენეფიციარ ბავშვს გადასცეს. მათივე დახმარებით, 10-მდე ხანდაზმულმა გაიარა კომპიუტერული კომპეტენციის კურსი. პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილია ისიც, რომ 10 ბავშვი იღებდა რეგულარულ საგანმანათლებლო მხარდაჭერას პედაგოგიური გამოცდილების მქონე პროგრამის ბენეფიციარი ხანდაზმულებისგან, რამაც ხელი შეუწყო ბავშვების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას. დამატებით ხდებოდა თემატური ღონისძიებებისა და დღესასწაულების ერთობლივი, თაობათაშორისი აღნიშვნა, რამაც ხელი შეუწყო თაობათა დაახლოებასა და სოციალური ერთიანობის განმტკიცებას. საბოლოო ჯამში, ინიციატივამ არა მხოლოდ კონკრეტული უნარების განვითარება უზრუნველყო პროგრამის ბენეფიციარებში, არამედ დმანისის სათნოების სახლში თაობათაშორისი ურთიერთობების გაძლიერებასაც შეუწყო ხელი.

↘ ერთად რეალური ცვლილებებისთვის

წალკის მუნიციპალიტეტში განხორციელდა ინიციატივა „ერთად რეალური ცვლილებებისათვის“, რომელმაც ხელი შეუწყო ოჯახში მარტოდ მცხოვრები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლების სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას. პროგრამის ფარგლებში ათმა მშობელმა მიიღო კომპლექსური მხარდაჭერა, რომელიც მოიცავდა ბიო-ფსიქო-სოციალურ შეფასებას, ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავებას, ჯგუფურ შეხვედრებს, ასევე დახმარებას სახელმწიფო სერვისების მიღებასთან დაკავშირებით. პროექტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ბენეფიციართა დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობას - მონაწილეებს შესთავაზა პროფესიული კურსები, ტრენინგები CV-ის შედგენაზე, დასაქმების პორტალების გამოყენებასა და ბიზნესგეგმის შემუშავებაზე. დამატებით, 10 სოციალურად დაუცველმა ქალმა გაიარა ძიძების გადამზადების პროგრამა და მიიღო დასაქმების შესაძლებლობა, რამაც ამავე დროს ხელი შეუწყო ოჯახში მარტოდ მცხოვრები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლების დასაქმებასა და თვითდასაქმებას.

შექმნილი სოციალური პროგრამების დანერგვისა და მათი ეფექტიანად განხორციელების მხარდასაჭერად, პროექტის ფარგლებში ჩატარდა ორი სასწავლო ვიზიტი ჩეხეთის რესპუბლიკაში, რომლებიც ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასთან თანამშრომლობით განხორციელდა.

სასწავლო ვიზიტების მთავარი მიზანი იყო მონაწილეები გაცნობოდნენ ჩეხეთის რესპუბლიკაში სოციალური სერვისების სფეროში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, გაეზიარებინათ ამ მიმართულებით არსებული ცოდნა და გამოცდილება და შესაძლებლობის ფარგლებში, ხელი შეეწყოთ ამ პრაქტიკის დანერგვისათვის საქართველოში.

სასწავლო ვიზიტებში მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სამიზნე მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ხელისუფლების წევრები, პროექტის ფარგლებში შექმნილი მრავალაქტორული თანამშრომლობის ჯგუფების წევრები, შესაძლებლობების განვითარების პროგრამის (CDP) მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენლები და მეორე ვიზიტის ფარგლებში, ასევე პროექტის ახალგაზრდა პროფესიონალთა პროგრამის (YPP) მონაწილეები.

ჩეხეთის რესპუბლიკაში მონაწილეები ეწვივნენ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც სოციალური სერვისების მიმართულებით მუშაობენ, მათ შორის სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებს და ადგილზე გაეცნენ მათი საქმიანობის სპეციფიკას. ამ ორგანიზაციების ბენეფიციარები იყვნენ, ისეთი ჯგუფები როგორებიცაა: სსმ პირები, ყოფილი პატიმრები, ხანდაზმული, საჭიროების მქონე დედები და ბავშვები, ომის ვეტერანები და სხვა.

მონაწილეები ასევე გაეცნენ იმ ორგანიზაციების მუშაობის თავისებურებებს, რომლებიც მოწყვლადი ჯგუფებისთვის საჭირო სოციალური მომსახურების ადვოკატირების მიმართულებით მუშაობენ.

აღნიშნულ სასწავლო ვიზიტებს მოჰყვა დამეგობრების ინიციატივები ქართულ და ჩეხურ ორგანიზაციებს შორის. ამან ხელი შეუწყო პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების გაღრმავებას და ჩეხეთში არსებული საუკეთესო პრაქტიკების რეპლიკაციის პროცესს როგორც სერვისების მიწოდების, ისე სოციალური პროგრამების მუშაობის მიმართულებით.

კომუნიკაცია და ცნობიერების ამაღლება

პროექტის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა კომუნიკაციისა და ცნობიერების ამაღლების კამპანია, რომელიც, ერთი მხრივ, მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებას თავად პროექტისა და მისი შედეგების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ - სამიზნე ჯგუფების ცნობიერების ამაღლებას სოციალურ სერვისებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

თავის მხრივ სამოქალაქო სექტორის გაძლიერების კომპონენტიც მოიცავდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხარდაჭერასა და მათი შესაძლებლობების გაძლიერებას ადგილობრივ დონეზე ეფექტიანი კომუნიკაციის განხორციელების მიზნით. ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლი ადგილობრივ თემებში სხვადასხვა საკითხზე ინფორამციის მიწოდებისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით უაღრესად მნიშვნელოვანია, რაც მათ პროექტის მნიშვნელოვანი პარტნიორების სტატუსს ანიჭებდა.

პროექტის გუნდი სრულ მხარდაჭერას უწევდა პროექტში ჩართულ ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებიც ამზადებდნენ სხვადასხვა ტიპის თემატურ საკომუნიკაციო მასალებს - ვიდეოებს, პრეზენტაციებს, სოც. მედია პოსტებსა და ქარდებს, ბროშურებს, მაისურებსა და ჩანთებს, საინფორმაციო დაფებსა და სხვა. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში მასალები სამიზნე რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინებით მზადდებოდა იქ მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ენებზეც - აზერბაჯანულად და სომხურად. ამან მნიშვნელოვნად გაზარდა სამიზნე ჯგუფების ინფორმირებულობის დონე და ჩართულობა ადილობრივ პროცესებში, ასევე ხელი შეუწყო მათთვის სხვადასხვა სერვისზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას.

სამოქალაქო ორგანიზაციების გაძლიერების ნაწილში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მათი მხარდაჭერა თემატური ცოდნის გაღრმავების მიმართულებით. გარდა იმისა, რომ შერჩეულ სამიზნე ორგანიზაციებს ჩაუტარდათ თემატური ტრენინგები და მენტორინგის სესიები, ასევე სამივე ენაზე - ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად - მომზადდა და ადგილებზე გავრცელდა სასწავლო მასალები შემდეგ საკითხებზე:

(1) სოციალური მომსახურება, მონიტორინგი და შეფასება

(2) მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობის განხორციელებაში

(3) მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტების მომზადება

(4) პროექტის მონიტორინგი და შეფასება

(5) სტრესის მართვის ინსტრუმენტები და რჩევები

მასალების თემატიკა განისაზღვრა ორგანიზაციების საჭიროებების შეფასებისა და შემდგომი კონსულტაციების საფუძველზე. ყველა მასალა ელექტრონულად ხელმისაწვდომია ფართო აუდიტორიისათვის CENN-ის ვებ-გვერდის პუბლიკაციების განყოფილებაში, რაც უზრუნველყოფს მათზე ღია წვდომას.

ცნობიერების ამაღლების კუთხით, პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ევროკავშირის მხარდაჭერით შექმნილი სარგებლის ნათლად წარმოჩენა, რადგან ხელშესახები შედეგების მიღწევასთან ერთად, მიშვნელოვანი გამოწვევაა მათ შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა იმ ადამიანებს შორის, ვისაც ეს სერვისები რეალურად სჭირდება.

აღნიშნული შედეგების ნათლად წარმოსაჩენად, ადგილობრივი ორგანიზაციებისა და შექმნილი სერვისების პოპულარიზების მიზნით, პროექტმა მოამზადა არაერთი მასალა - სტატიების, სოციალური მედია პოსტებისა და ვიდეობის სახით.

გარდა ამისა, პროექტის კომუნიკაციების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარდმოადგენდა მედია ტურები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ცენტრალური და რეგიონული მედიასაშუალებების 30-ზე მეტმა წარმომადგენელმა. ჟურნალისტებმა ტურის ფარგლებში მოინახულეს ორივე რეგიონში განხორციელებული პროექტები, გაეცნენ მათ შედეგებსა და მიღწევებს და პირადად შეხვდნენ სარგებლის მიმღებ პირებს. მოგვიანებით მათ ამ ინფორმა-

ციაზე დაყრდნობით მოამაზადეს მრავალფეროვანი ფორმატის მასალები, რომლებიც შესაბამის საინფორამციო პლატფორმაზე განთავსდა. მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ გაშუქება მიმდინარეობდა არა მხოლოდ ქართულ, არამედ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე იმ მედიასაშუალებების მიერ, რომლებიც კონკრეტულ მუნიციპალიტეტებსა და თემებში მუშაობენ და თავიანთი აუდიტორია ჰყავთ. ამ მიდგომამ კიდევ უფრო ფართო საზოგადოებამდე მიიტანა პროექტის და მისი სიკეთეების შესახებ ინფორმაცია.

ეს მასალა შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ორგანიზაცია CENN და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ინკლუზიური და მწვანე პოსტ-კოვიდ აღდგენისათვის

STRENGTHENING CIVIL SOCIETY FOR AN INCLUSIVE AND GREEN POST-COVID RECOVERY